ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3848236

ნომერი: AR1578272

თარიღი : 22.02.2018

გაცემის თარიღი : 02.03.2018

გაცნობის თარიღი : 02.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , ნაკვეთი 01/040; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, საკალათბურთო კლუბ "დინამო"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ხიდეშელი პ/ნ 62007000926
- თბილისის ბელიაშვილის ქ. 187

ორგანიზაცია:
- შპს ბელაჯიო კოდი: 412700625

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

N 01.13.02.001.040 მიწის ნაკვეთის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა N 01.13.02.001.040 საკადასტრო ერთეულზე ღობის მოწყობასთან დაკავშირებით. N 01.13.02.001.040 საკადასტრო ერთეულზე ღობის მოწობა შესაძლებელი გახდება აღნიშნული შეზღდვის მოხსნის შემდგომ.
ასევე გაითვალისწინეთ
ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთები, საკადასტრო კოდით N 01.13.02.001.051 და N 01.13.02.001.040 მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მიხედვით სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა, ლსზ-სა და რზ1-სა) შემოღობვა შესაძლებელია არაუმეტეს 1,8 მეტრი სიმაღლის არაყრუ ღობით; შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილ იქნას განახლებული დოკუმენტაცია ღობის მოწყობასთან დაკავშირებით. შესაბამისად წარმოდგენილ იქნას განახლებული საპროექტო დოკუმენტაცია.
ასევე მიწის ნაკვეთებზე გადის ხაზოვანი ნაგებობა #01.01.755 - კანალიზაციის მილი (მესაკუთრე სახელმწიფო), საჭიროა მიწის ნაკვეთზე ღობის მოწყობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას მესაკუთრის თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დამოწმებულ გენ-გეგმასთან ერთად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.